<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

2012 წლის 30 სექტემბერს 9 თვის ჩვილის ბარბარე რაფალიანცის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 56-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული საქართველოს პარლამენტის უმცირესობაში შემავალი ფრაქციების წარდგინებით გათვალისწინებული დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც შეისწავლის 2012 წლის 30 სექტემბერს 9 თვის ჩვილის ბარბარე რაფალიანცის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტს.

2. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველია ის ინფორმაცია, რომელიც საჯაროდ გაჟღერებულ იქნა ადვოკატის მიერ რამოდენიმე დღის წინ და პირდაპირ კავშირშია აღნიშნული საქმის გამოძიებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ინფორმაციის შესწავლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

3. დროებითი საგამოძიებო კომისიის გამოსაკვლევი საკითხია - 2012 წლის 30 სექტემბერს 9 თვის ჩვილის ბარბარე რაფალიანცის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის შესწავლა.

4. დროებითი საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილების ვადად განსაზღვროს 3 თვე.

5. დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 11 წევრით.

6. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *დავით უსუფაშვილი*